უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა

კვლევის ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2014

ნათია ანდღულაძე & თამარ ბრეგვაძე – კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელები

Erasmus+

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

ინფორმაცია კვლევის შესახებ

სტუდენტების კმაყოფილებისა და ჩართულობის კვლევა არის პირველი ეროვნული კვლევა, რომელიც წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმის ირგვლივ ინფორმაციას ქართულ უნივერსიტეტებზე.

კვლევა ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით და ERASMUS + ფინანსური მხარდაჭერით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და პროფესორების მიერ 2014 წლის გაზაფხულზე.

გამოკითხვაში სამივე საფეხურის 3000 სტუ-დენტმა მიიღო მონაწილეობა 10 სამიზნე უნი-ვერსიტეტიდან. უნივერსიტეტები შერჩეული იყო მაქსიმალური ვარიაციის მეთოდით. ვარიაციის კრიტერიუმებს წარმოადგენდა უნივერსიტეტის პროფილი, უნივერსიტეტის მდებარეობა (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და თელავი) და უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი (კერძო/საჯარო). შერჩეულ 10 უნივერსიტეტში ჩატარდა ანონიმური გამოკითხვა და 8 უნივერსიტეტში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებთან.

კვლევის მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოად-გენს გამოკითხვის თვითსელექტიურობა: გამო-კითხვის ადმინისტრირება მოხდა ონლაინ რეჟიმში, სტუდენტების წინასწარი შერჩევის გარეშე. ასეთი პრაქტიკა გავრცელებულია სხვა ქვეყნებში ანალოგიური კვლევების შესრულებისას, თუმცა, არსებობს ალბათობა, რომ გამოკითხვაში შედარებით უფრო მოტივირებულმა და სწავლის პროცესში უფრო აქტიურად ჩართულმა სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოეხდინოს კვლევის შედეგების რეპრეზენტატიულობაზე. მიუხედავად მოკრძალებული მასშტაბისა და მეთოდოლოგიური შეზღუდვებისა, კვლევა, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ინტეგრირებით, საშუალებას გვაძლევს: (1) გამოვყოთ სწავლებისა და სწავლის მიმართულებით არსებული ძირითადი პრობლემები და (2) შევაფასოთ ასეთი კვლევების სისტემისა და ინსტიტუციის დონეზე გამოყენების მნიშვნელოვნება და შეზღუდვები.

ძირითადი დასკვნები

უმაღლესი განათლების სხვადასხვა ასპექტების (სწავლა, კვლევა, გარემო, ადმინისტრაციის მხარდაჭერა, დასაქმების ხელშეწყობა) საშუალო შეფასებები საქართველოში საკმაოდ მაღალია და ამერიკული უნივერსიტეტების ანალოგიური ინდიკატორების მაჩვენებლებს უტოლდება. ამიტომ სტუდენტების გამო-კითხვის შედეგების გამოყენებისას ზოგადად ქვეყნის მასშტაბით საუნივერსიტეტო განათლების ხარისხზე მსჯელობას სიფრთხილით მოკიდება სჭირდება. თავად სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების ობიექტურად შეფასებას ხელს უშლის ის, რომ სტუდენტებს არ აქვთ ხარისხიან განათლებაზე კომპეტენტურად მსჯელობის შესაძლებლობა.

ზოგადად, საუნივერსიტეტო განათლების სხვადასხვა ასპექტების საშუალო შეფასებები უფრო დაბალია საჯარო უნივერსიტეტებში. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასწავლო პროგრამებით კმაყოფილებისა და დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტში. აგრეთვე, იკვეთება განსხვავებები უნივერსიტეტის მდებარეობისა და სწავლების მიმართულებების მიხედვით. კმაყოფილება უფრო დაბალია რეგიონებში და სახელოვნებო მიმართულების სტუდენტებში.

გამოკითხული სტუდენტების შეფასებებში ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს უმაღლესი **განათლების შინაარსის ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა,** აგრეთვე პრობლემას წარმოადგენს სასწავლო პროცესში **ნაკლები აქცენტი კვლევით კომპონენტზე.** საჯარო უნივერსიტეტებში გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი თვლის, რომ სასწავლო პროგრამა არ

შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებიდან ყოველი მეხუთე ამბობს, რომ არასოდეს მიუღია მონაწილეობა კვლევაში. სტუდენტები, ასევე, თვლიან, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო კომპონენტში **პრაქტიკის წილის გაზრდა,** გაცვლითი პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა, **უცხო ენის სწავლების გაუმჯობესება.** სტუდენტები ნაკლებად კმაყოფილნი არიან **საუნივერსიტეტო ცხოვრებითა და ინფრასტრუქტურით.** ინფრასრუქტურის თვალ-საზრისით, სტუდნეტებისთვის პრობლემას წარმოადგენს ნელი ინტერნეტი, სველი წერტილების გაუმართაობა, საერთო სივრცის არარსებობა სტუდენტთა თავშეყრისათვის, გაუმართავი ტექნიკა. ასევე, უნივერსიტეტების უმეტესობაში არ არის ქსეროასლის გადასაღები და ამოსაბეჭდი ტექნიკა, ბიბლიოთეკები მცირე ზომისაა და მოუხერხებელია სამეცადინოდ. სტუდენტები ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობების გაზრდას.

ლექტორ-მასწავლებლების მიმართ სტუდენ-ტებს მაღალი მოლოდინები აქვთ. მათი აზრით, ლექტორი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თავის საქმეს და დაინტე-რესებული უნდა იყოს თავისი ცოდნის სტუდენტებისთვის გადაცემით. სტუდენტები ხაზს უსვამენ თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ფლობისა და სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობას. ლექტორი სტუდენტებს სამართლიანად უნდა აფასებდეს, სტუდენტებთან ურთიერთობაში უნდა გამოხატავდეს პატივისცემასა და კეთილგანწყობას, მაგრამ დაიცვას გონივრული ზღვარი. სტუდენტები ასევე აღნიშნავენ თავისუფალი აზრის გამოხატვის მნიშვნელოვნებას. ჩამოთვლილი მახასია-თებლების მიხედვით რესპონდენტები ლექტორებს, ძირითადად, პოზიტიურად აფასებენ, თუმცა თვლიან, რომ **ლექტორი ნაკლებად ქმნის სტუდენტის შესაძლებლო-ბების გამოვლენისთვის საჭირო პირობებს და ნაკლებად იყენებს საინტერესო და სასწავლო მიზნებთან შესაბამის სწავლის მეთოდებს.** კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო განსხვავება თანამედრო-ვე ლიტერატურის გამოყენების თვალსაზრი-სით გამოვლინდა. საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტების უფრო დიდი ნაწილის აზრით, მათი ლექტორები სწავლებისას **თანამედროვე ლიტერატურას** ნაკლებად იყენებენ.

გაცვლითი პროგრამებით კმაყოფილება მაღალია. სტუდენტების აზრით, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა არა მხოლოდ სტუდენტების კომპეტენციებზე მოქმედებს დადებითად, არამედ უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, რადგან სტუდნეტები უკან განსხვავებული მოლოდინებით ბრუნდებიან და უფრო ობიექტურ და კრიტიკულ მოთხოვნებს უყენებნ უნივერსიტეტს. თუმცა, კვლევის მონაცემებით, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილს - 6 პროცენტს აქვს მიღებული.

თვისებრივ კომპონენტში (დისკუსიისას) სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უშლის **სტუდენტების რაოდენობის შეუსაბამობა ხელმისაწვდომ სასწავლო რესურსებთან და სტუდენტების დაბალი აკადემიურ მზაობა.** ეს უკანასკნელი, მათი აზრით, ზოგადი განათლების დაბალი ხარისხით აიხსნება. ისინი თვლიან, რომ უმაღლესი განათლებაში არსებული ყველა პრობლემა კომპლექსურად უნდა იქნას განხილული და აისახოს რეფორმის თანმიმდევრულ ნაბიჯებში.

ზოგადი კმაყოფილება

სტუდენტებს ვთხოვეთ, ათქულიან სკალაზე შეეფასებინათ უმაღლესი განათლების სხვადასხვა ასპექტები, სადაც 10 ნიშნავდა ყველაზე მაღალ შეფასებას. საშუალო შეფასებები 4-დან 8 ქულამდე მერყეობს. ყველა ასპექტში გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის - საშუალო შეფასებები უფრო მაღალია კერძო უნივერსიტეტებში. ნაკლებად თვალსაჩინოა განხვავებები სტუდენტური ცხოვრებისა და კვლევის ასპექტებში, სადაც შეფასებები კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც ერთანაირად დაბალია.

ნახატი 1: უმაღლესი განათლების სხვადასხვა ასპექტების საშუალო შეფასებები უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით (10 ყველაზე მაღალი შეფასება)



მიმართულებების მიხედვით საერთო სურათიდან ამოვარდნილია ხელოვნების მიმართულება. ასევე, კვლევის ასპექტში სხვა მიმართულებებთან შედარებით დაბალი შეფასებებია საინჟინრო მიმართულებით. დაფიქსირდა განსხვავებები საფეხურების მიხედვითაც. თითქმის ყველა კომპონენტში მაჩვენებლები ოდნავ მაღალია სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე.

სწავლების შინაარსი და შეძენილი ცოდნა და უნარები

სწავლების შინაარსზე მსჯელობისას სტუდენტები სამ მნიშვნელოვან პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას. კერძოდ, მათი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ: ა) სასწავლო პროგრამა უფრო მეტად დაუახლოვდეს ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებს; ბ) მეტად უწყობდეს ხელს კონკრეტული უნარების და არა მხოლოდ თეორიული ცოდნის განვითარებას; და უფრო მეტად შეიცავდეს ახალ, თანამედროვე მასალებს.

„სწავლის პროცესი ძირითადად თეორიული მასალის შესწავლას მოიცავს და ნაკლებად ხდება ჩვენი ჩართვა პრაქტიკულ აქტივობებში, ტრენინგებში, კვლევით საქმიანობებში და ა.შ.“

„მასალები ხშირად მოძველებულია, არ შეესაბამება იმას, რაც რეალურად მოეთხოვება ამა თუ იმ დარგის სპეციალისტს“.

დისკუსიისას სტუდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სწავლების შინაარსი ხშირად იმდენად აცდენილია ბაზრის რეალურ მოთხოვნებს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავ-რებული, როგორც სპეციალისტი, დამსაქმებლის ნდობას არ იწვევს.

„მთავარი გამოწვევა ის არის, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი იყოს თავისი საქმის პროფესიონალი და სახელმწიფოს ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის იმედი უნდა ჰქონდეს კონკრეტულ დარგში.

იგივე ტენდენციას სტუდენტების გამოკითხვაც ადასტურებს. გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი (41%) თვლის, რომ სწავლების შინაარსი არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. განსაკუთრებით უკმაყოფილოა ამ მხრივ ხელოვნების (65%) და სოციალური მიმართულების (49%) სტუდენტები; საჯარო უნივერსიტეტებში ამ თვალსაზრისით უკმაყოფილოთა რიცხვი მნიშვნელოვნად მაღალია (48%) კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით (16%). ასევე, განსხვავდება მონაცემები უმაღლესი სასწავლებლის მდებარეობის მიხედვით.

ნახატი 2: სწავლების შინაარსი შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს („არ ვეთანხმები“ პროცენტი)



თვისებრივ კომპონენტში სტუდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების შინაარსზე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ სასკოლო განათლების ხარისხი დაბალია. სტუდენტების აზრით, თუ სკოლიდან მოსწავლეს საკმარისი ცოდნა არ მოყვება, შესაბამისად, მეტი დრო იხარჯება ამ ხარვეზების კომპენსაციაზე უმაღლეს განათლებაში. *“ჩემი აზრით, სკოლა არის მთავარი. ადამიანს 12 წელი, რომ არაფერი უკეთებია და ორჯერ ორი არ იცის, ძნელია მერე რამე ისწავლოს.“*

მიუხედავად ამ კრიტიკული დამოკიდებულებისა, სტუდენტების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაში. მაგალითად, სტუდენტების დიდი ნაწილი თვლის, რომ უნივერსიტეტი მათ კრიტიკულად და ანალიტიკურად აზროვნების განვითარებაში (73%) ეხმარება. რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, კომპეტენციების განვითარების თვალსაზრი-სით ყველაზე დიდ პრობლემას წერითი კომუნიკაციისა და უცხო ენის უნარ-ჩვევების განვითარება წარმოადგენს. კერძოდ, სტუ-დენტების შედარებით ნაკლები წილია კმაყოფილი ეფექტურად წერისა (55%) და უცხო ენის ცოდნაში (47%) მიღწეული პროგრესით.

საგულისხმოა, რომ მსგავს კითხვებზე ამერიკული უნივერსიტეტების სტუდენტების პასუხებს ქართული უნივერსიტეტების სტუდენტებს თუ შევადარებთ, ქართველი სტუდენტების შეფასება უნივერსიტეტის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ ისეთივე პოზიტიურია, როგორიც ამერიკელი სტუდენტებისა და, რიგ შემთხვევებში, უფრო მაღალია. მაგალითისთვის, 2013 წელს ჩატარებულ კვლევაში[1] ამერიკელი სტუდნეტების 62% თვლის, რომ უნივერსიტეტი მათ მონაცემებისა და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის უნარის განვითარებაში დაეხმარა მაშინ, როცა ასეთი სტუდენტების წილი ქართულ უნივერსიტეტებში 63 პროცენტია;

მკაფიოდ და ეფექტურად მეტყველების უნარის განვითარებაში ამერიკელი სტუდენტების 65% და ქართული უნივერსიტეტების სტუდენტები 60% აძლევს მაღალ შეფასებას; ეფექტურად თანამშრომლობაში - ამერიკული უნივერსიტე-ტების სტუდენტების 69% და ქართული უნივერსიტეტების სტუდენტების - 70%. აქტიური და ინფორმირებული მოქალაქეობისთვის საჭირო უნარებისა და

[1] NSSE Institute for Effective Practical Learning, 2013

ცოდნის გამომუშავებაში შეტანილ წვლილს მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად აფასებას ქართული უნივერსიტეტების სტუდენტების 64% და ამერიკული უნივერსიტეტების სტუდენტების 55 %.

როგორც გამოკითხვა გვიჩვენებს, კერძო უნივერსიტეტებში სტუდენტების უფრო დიდი წილი აფასებს მნიშვნელვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად უნივერსიტეტის მიერ მათი უნარებისა და ცოდნის განვითარებაში შეტანილ წვლილს. ეს განსხვავება ყველაზე თვალსაჩინო უცხო ენის ცოდნისა და ეფექტურად წერის და მონაცემებისა და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის უნარის შეძენაში ჩანს. თუ საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტების მხოლოდ 41 პროცენტი თვლის, რომ უნივერსიტეტი ამ უცხო ენის შესწავლაში მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელონად დაეხმარა, ასეთი სტუდენტები წილი კერძო უნივერსიტეტებში 68 პროცენტია. ყველაზე დაბალი კერძო და საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის დამოკიდებულებებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში უნივერსიტეტის როლის შეფასებისას ჩანს.

ცოდნასა და უნარებზე უნივერსიტეტის გავლენის სტუდენტების მიერ შეფასება განსხვავდება სწავლის სფეროს მიხედვით. ყველაზე დაბალი ეს შეფასებები სოფლის მეურნეობის და ხელოვნების მიმართულების სტუდენტებს შორისაა, ყველაზე მაღალი კი სამართლის, ბიზნესისა და განათლების მიმართულების სტუდენტებს შორისაა

ნახატი 3: ცოდნასა და უნარებზე უნივერსიტეტის გავლენის შეფასება (კერძო და საჯარო უნივერსიტეტებში. სტუდენტების წილი, რომლებიც უნივერსიტეტის გავლენას " "მნიშვნელოვნად" ან "ძალიან მნიშვნელოვნად" აფასებენ)



სასწავლო და კვლევით საქმიანობაში ჩართულობა და დატვირთვა

სასწავლო საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით, სტუდენტები ყველაზე დიდი ნაწილი პრეზენტაციების გაკეთებას მიუთითებს. სტუდენტების 80 პროცენტი ამბობს, რომ ხშირად ან ძალიან ხშირად უწევთ პრეზენტაციების გაკეთება. ყოველი მეათე სტუდენტი ამბობს, რომ პრეზენტაციას იშვიათად ან არასდროს აკეთებს. სტუდენტების 67 პროცენტი ამბობს, რომ ხშირად ან ძალიან ხშირად სვამენ კითხვას ან მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში და სტუდენტების 36 პროცენტი ამბობს, რომ მონაწილეობა მიუღია კვლევაში. სტუდენტების 21 პროცენტს არასდროს მიუღია მონაწილეობა კვლევაში და დამატებით 19 პროცენტი კვლევაში მონაწილეობას იშვიათად იღებს. საგულისხმოა, რომ ყოველი მეხუთე სტუდენტი აცხადებს, რომ ყოფილა აკადემიური არაკეთილსინდისიერების მოწმე (სხვისი ნაშრომის მითვისება, გადაწერა და ა.შ).

საშუალოდ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი კვირაში 17 საათს ლექციებზე დასწრებას, 14 საათს ლექციებისთვის მომზადებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფებში მეცადინეობა, კითხვა, წერა, დავალებების შესრულება, მონაცემების ანალიზი ან სხვა აკადემიური ტიპის აქტივობა) და საშუალოდ 4 საათს უნივერსიტეტის არასასწავლო ღონისძიებებში მონაწილეობას უთმობს. სტუდენტების მიერ ლექციებზე გატარებული და ლექციის მომზადებისთვის დახარჯული დროის თვალსაზრისით მრავალფეროვან სურათს ვიღებთ. კვირის განმავლობაში, სტუდენტების 14 პროცენტი ხარჯავს 30 საათზე მეტს ლექციებზე დასწრებაში და დაახლოებით იგივე წილი 5 საათს ან უფრო ნაკლებს უთმობს ლექციებზე სიარულს. ლექციის მომზადებისთვის საშუალოდ უფრო ნაკლებ დროს ხარჯავენ, ვიდრე ლექციებზე დასწრებაზე. სტუდენტების 16 პროცენტი ლექციების მომზადებას 26 საათზე მეტს, სტუდენტების მეოთხედი კი 5 საათზე ნაკლებ დროს უთმობს.

ნახატი 4: სასწავლო პროცესში ჩართულობა („ხშირად“ ან „ძალიან ხშირად“ პროცენტი)



ნახატი 5: სასწავლო და ექსტრაკურიკულარულ აქტიობებზე დახარჯული დრო



სტუდენტების დატვირთვა განსხვავდება უნივერსიტეტის ტიპისა და სწავლის მიმართულების მიხედვით. კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით საშუალოდ უფრო მეტ დროს ატარებენ ლექციებზე და უფრო ნაკლებს - ლექციებისთვის მომზადებაზე. თუ მხოლოდ თბილისის კერძო და საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტებს შევადარებთ სწავლების სფეროების მიხედვით,, ლექციებზე დასწრებას თბილისის საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტები კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით უფრო ნაკლებ დროს უთმობენ. საშუალოდ, კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები კვირაში 21 საათს ატარებენ ლექციებზე, საჯაროსი კი - 16 საათს. ეს განსხვავებები უფრო თვალსაჩინოა ჰუმანიტარული მეცნიერებების და ბიზნესის მიმართულებების სტუდენტებს შორის.

ნახატი 6: ლექციებზე დასწრებასა და ლექციებისთვის მომზადებაში დახარჯული დრო მიმართულებებისა და უნივერსიტეტის სტატუსის მიხედვით(საშუალო კვირაში)



კერძო უნივერსიტეტებში საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით უფრო მეტ დროს უთმობენ ლექციებისთვის მომზადებას. საპირისპირო მდგომარეობაა სამართალისა და ბიზნესის მიმართულებით. როგორც სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუსური ჯგუფებიდან გამო-იკვეთა, კერძო უნივერსიტეტების სტუდნეტებს, სავარაუდოდ, უფრო ხშირად უწევთ ტესტირებების გავლა კურსის მიმდინარეობის პროცესში.

სასწავლო პროცესში ჩართულობის ერთ-ერთი ინდიკატორი კვირის განმავლობაში საკითხავი მასალის მოცულობაც იყო. საშუალოდ, ქართული უნივერსიტეტების სტუდენტს კვირაში 130 გვერდის წაკითხვა უწევს. მაგრამ საკითხავი მასალის მოცულობის მიხედვით განსხვავებები დიდია. თუ სტუდენტების დაახლოებით 10 პროცენტს საშუალოდ 300 გვერდზე მეტის წაკითხვა უწევს კვირაში, სტუდენტების 20 პროცენტი 20 გვერდს ან ნაკლებს კითხულობს

საკითხავი მასალის მოცულობის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით: კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს მნიშვნელოვნად დიდი მოცულობის მასალის წაკითხვა უწევთ საშუალოდ კვირაში, ვიდრე მათ თანატოლებს საჯარო უნივერსიტეტებში.

ნახატი 7: წასაკითხი მასალა უნივერსიტეტის სტატუსის მიხედვით



თუ ქართული უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ ლექციებისთვის მომზადებაზე დახარჯულ დროს აშშ სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების იგივე მაჩვენებელს სწავლის მიმართულების მიხედვით შევადარებთ, ვნახავთ, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებები ზუსტი და საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებებში ფიქსირდება. ქართველი სტუდენტები მათ ამერიკელ თანატოლებთან შედარებით საშუალოდ 4 საათით ნაკლებ დროს ხარჯავენ მეცადინეობაზე.

ნახატი 8: ლექციების მომზადებაზე დახარჯული დრო ქართულ და ამარიკულ უნივერსიტეტებში (საშუალო კვირაში)



როგორც საჯარო, ისე კერძო უნივერსიტეტებში გამოკითხული მაგისტრანტი და დოქტორანტი სტუდენტების თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი მათ ვერ სთავაზობს კვლევით საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობებს.

საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტების 40%-ზე მეტს არ მიუწვდება ხელი კვლევისათვის საჭირო რესურსებზე და ვერ იღებს ინფორმაციას მისი კვლევის სფეროში მიმდინარე სიახლეებზე. ფოკუს ჯგუფებში დაფინანსების პრობლემა გამოიკვეთა: სტუდენტებს არ აქვთ უნივერსიტეტიდან დაფინანსების მოპოვების იმედი და მათი კვლევითი პროექტების დაფინანსების მოთხოვნით მხოლოდ უცხოურ და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ. ასევე გამოიკვეთა ლაბორატორიების პრობლემა.

განსხვავებული სიტუაციაა კერძო უმაღლეს საწავლებლებში, სადაც კვლევის კომპონენტი სწავლების პროცესში უფრო მეტადაა წარმოდგენილი. თუმცა, ეს ეხება ძირითადად თბილისში მოქმედ კერძო უნივერსიტეტებს. გამოკითხული სტუდენტებიდან ყოველ მეხუთე სტუდენტს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა კვლევით პროექტში. საჯარო უნივერსიტეტებში ეს მაჩვენებელი 22%-ს, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში 15%-ს შეადგენს. როგორც კვლევის თვისებრივი კომპონენტიდან ირკვევა, სტუდენტების ხშირად არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან კვლევის განხორციელებას და კვლევის ანგარიშს არა რეალურად შეგროვებულ მონაცემებზე, არამედ "მოგონილ" შედეგებზე დაყრდნობით წერენ და ლექტორები არ ამოწმებენ ანგარიშის სანდოობას.

ნახატი 9: კვლევითი საქმიანობა საჯარო და კერძო უნივერსიტეტებში (მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტები) – „ვეთანხმები" პროცენტი



აკადემიური პერსონალით კმაყოფილება

სტუდენტები იდეალური ლექტორის დახასიათებისას ხაზს უსვამენ შემდეგ მახასიათებლებს:

- **მოტივაცია**: იხსენებენ ლექტორებს, რომლებსაც ძალიან უყვართ თავისი საქმე, პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმიანობას და დაინტერესებული არიან იმით, რომ თავისი ცოდნა სათანადოდ გადასცენ სტუდენტებს. ლექტორის მოტივაცია, სტუდენტების მოსაზრებით, სტუდენტის მოტივაციასა და ჩართულობას ზრდის.
- **პედაგოგიური კომპეტენცია**: ლექტორისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ცოდნის გადაცემის უნარია. სტუდნეტების აზრით, ზოგიერთ ლექტორს აქვს თავისი სფეროს სიღრმისეული ცოდნა, მაგრამ არ აქვს ამ ცოდნის გადაცემის კომპეტენცია. სტუდენტებმა გამოხატეს სურვილი, რომ ლექტორებმა სწავლების ძველი მეთოდები ჩაანაცვლონ თანამედროვე მეთოდებით, ყურადღება გაამახვილონ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე.
- **საგნობრივი კომპეტენცია:** ლექტორი მათ მიერ დასმულ შეკითხვას უნდა სცემდეს ამომწურავ პასუხს. შესაბამისად, სტუდენტები მოითხოვენ საგნის სიღრმისეულ ცოდნასაც. ლექტორების მნიშვნელოვან მახასიათებლად მიიჩნევა არა მხოლოდ კურსის თეორიულ ცოდნა, არამედ ამ კურსის ფარგლებში პრაქტიკული გამოცდილებასაც. ლექტორს თეორიული მასალის პრაქტიკული მაგალითებით გამყარება და დაკავშირება უნდა შეეძლოს. იგი სტუდენტებს აუცილებლად უნდა სთავაზობდეს სხვადასხვა სახის პროექტებში მონაწილეობას.
- **სამართლიანობა და ობიექტურად შეფასების უნარი**: ლექტორი არ უნდა იყოს მიკერძოებული სტუდენტების შეფასებისას და უზრუნველყოს შეფასების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც სტუდენტების ობიექტურად შეფასებას უზრუნველ-ყოფს.
- **ლექტორის სწორი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი:** ლექტორს პოზიუტიური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სტუდენტების მიმართ, მაგრამ არ გამოხატავდეს ფავორიტიზმს. ლექტორებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობების ნორმები თითქმის ყველა სტუდენტისთვის გადამწყვეტია. თუმცა, ამ ნორმებს ისინი განსხვავებულად აღწერენ. ზოგიერთი აქცენტს აკეთებს სამართლიანობაზე, ზოგიერთი კი ფამილარული ურთიერ-თობების უარყოფით შედეგებზე. ლექტორმა ლექციაზე უნდა შექმნას უშუალო გარემო, მაგრამ ურთიერ-თობაში გარკვეულ დისტანციას აუცილებლად უნდა ინარჩუნებდეს. სტუდენტები იდეალური ლექტორის დახასიათებისას ასახელებენ გულწრფელობის ფაქტორსაც. ლექტო-რი სტუდნეტს უნდა მოეპყროს პატივისცემით და ისე, როგორც ზრდასრულ ადამიანს. სტუდნეტების ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ ხშირად ისე ეპყრობიან, როგორც სკოლის მოსწავლეებს.
- **თავისუფალი აზრის გამოხატვის წახალისება:** ლექტორი არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტთა თავისუფლებას და თავი უნდა შეი-კავოს საკუთარი აზრის სტუდენ-ტებისთვის თავზე მოხვევისგან.
- **ლექციებისთვის მომზადების ხარისხი**. ლექტორი მომზადებული უნდა მოდიოდეს და ლექციის მსვლელობისას არ უწევდეს დამხარე სახელ-მძღვანელოს კითხვა.

“ლექტორისთვის ყველა სტუდენტი უნდა იყოს თანაბრად მნიშვნელოვანი და არ უნდა ასხვავებდეს მათ ... არ უნდა გამოარჩიოს სტუდენტი რაიმე ნიშნით.”

“ზოგიერთი ლექტორი ლექციის მსვლელობისას ლეპტოპიდან კითხულობს სალექციო კურსს. ეს ძალიან დიდი დროს გვაკარგვინიებს. “

“ერთი ლექტორია, რომელიც ამოცანების ამოხსნისას დაფასთან ლამის ცეკვავს. მთლიანად ჩართულია ამოცანის ამოხსნაში და ისეთი მონდომებულია, რომ არჩევანსაც არ მიტოვებს, ვისწავლო თუ არა მისი საგანი. “

“ამ ყველაფერს ლექტორი გულწრფელად უნდა აკეთებდეს იმ მიზნით, რომ ჩვენ ცოდნა გავიღრმავოთ.”

„...თავად ლექტორი შემოქმედი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს უნდა ეცადოს, რომ არ მოგვახვიოს თავისი იდეები და აზრები, უნდა ითვალისწინებდეს სტუდენთთა ინდივიდუალიზმს, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია.“

„ჩვენთან ნამდვილად არ არიან პროფესიონალი ლექტორები, და ცოტა ის პრობლემაც არის, რომ მოვალეობის მიზნით არიან, ერთ-ორ ბავშვს რომ დაინახავს გადის“ .

„სწავლის პროცესი ძირითადად თეორიული მასალის შესწავლას მოიცავს და ნაკლებად ხდება ჩვენი ჩართვა პრაქტიკულ აქტივობებში, ტრენინგებში, კვლევით საქმიანობებში“

„ ჩვენ ძალიან კარგი ლექტორები გვყავს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი სკოლა ჩამორჩება მსოფლიოს მეთოდოლოგიით, ტექნიკური აღჭურვილობით, რასაც იყენებენ იქ, მასალა რომ ჩამოვიტანოთ, ხომ უნდა ვიცოდეთ იმ მასალის გამოყენება, რაც არ არის. ვფიქრობ, ამ პრობლემის გამოსწორება იქნება ის, რომ ისეთი კადრები მოვიდეს, ვისაც გამოცდილება უცხოეთში ექნება მიღებული.“

“ლექცია მიმდინარეობს კითხვა-პასუხის რეჟიმში და ლექტორი მომდევნო შეკითხვას რომ გისმევს ანუ შენ თითონ აანალიზებ, რომ წინა პასუხი ან სისულელე თქვი ან კარგი რაღაც თქვი. შენ თვითონ სწავლობ შენივე პასუხებით”.

„თუ სტუდენტმა ერთხელ მიიღო დაბალი შეფასება, შესაძლოა შემდეგ სასწავლო წლებში ეს ქულა იყოს გადამწყვეტი სხვა საგნებშიც “.

“ყოველდღე გვაქვს გამოკითხვა და ჩვენ ვიცით რის მიხედვით გვაფასებენ,შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე ყველაფერი არის დაშიფრული და ლექტორმა არ იცის ვის ნაწერს ამოწმებს. აქედან გამომდინარე მიკერძოების ელემენტი გამორიცხულია”.

რაოდენობრივ კომპონენტში ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ნაწილის დაფარვა ვცადეთ. ზოგადად, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების ნახევარი ან მეტი დაეთანხმა მოცემულ დებულებებს და მიიჩნევს, რომ ლექციებს კომპეტენტური, კარგად მომზადებული ლექტორები ატარებენ, რომლებიც ავლენენ საგნის სწავლებისათვის საჭირო სიღრმისეულ ცოდნას, კურსის დასაწყისშივე მკაფიოდ განმარტავენ კურსის მიზნებს და იყენებენ თანამედროვე ლიტერატურას და სწავლების საინტერესო, რელევანტურ მეთოდებს. თუმცა, ამ ბოლო დებულებას (სხვა დებულებებთან შედარებით) სტუდენტების შედარებით ნაკლები წილი დაეთანხმა. ასევე, სტუდენტების შედარებით მცირე წილი ეთანხმება დებულებას, რომ ლექტორები უქმნიან მოტივაციას სწავლისათვის. საერთო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები ჩამოთვლილი ასპექტებიდან ყველაზე ნაკლებად სწორედ სწავლების მეთოდებით და ლექტორის მამოტივირებელი როლით არიან კმაყოფილნი.

მიმართულებებისა და უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით ლექტორებით კმაყოფილების შედარებისათვის ანალიზში ჩავრთეთ მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტები, რადგან მხოლოდ აქ იყო შესაძლებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავე–ბების დანახვა. თითქმის ყველა ჩამოთვლილ ასპექტში ჩანს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება კერძო და საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტების პასუხებს შორის. კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები, ზოგადად, უფრო კმაყოფილები არიან ლექტორების მუშაობით და ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბიზნესისა და სამართლის მიმართულებებზე.

ნახატი 10: ლექტორებისადმი დამოკიდებულებებში განსხვავებები კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს შორის სწავლის მიმართულების მიხედვით (მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტები) – „ვეთანხმები“ პროცენტი



სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები საფეხურების მიხედვით მხოლოდ ორ პუნქტში - სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებისა და ლექციებისათვის მზაობის ასპექტებში გამოვლინდა. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების თვალსაზრისით უფრო კმაყოფილები არიან მაგისტრატურის, ხოლო ლექტორების მომზადებულობის თვალსაზრისით - ბაკალავრიატის სტუდენტები. კერძოდ, დებულებას „ ლექტორ-მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ თანამედროვე ლიტერატურას“ მაგისტრატურის სტუდენტების 81%, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტების 73% დაეთანხმა.

ნახატი 11: საბაკალავტო და სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების სტუდენტების დამოკიდებულება ლექტორ-მასწავლებლებისადმი - „ვეთანხმები“ პროცენტი



გამოკითხული სტუდენტების ნახევარზე მეტი თვლის, რომ შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა, შეფასებისას ლექტორ-მასწავლებლებისგან სასარგებლო რჩევებს იღებენ და შეფასებები ობიექტურია, მაგრამ შეფასების ამ სპეციფიურ ასპექტებში გამოვლინდა მცირე, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები როგორც უნივერსიტეტის ტიპის (კერძო/საჯარო), ისე სწავლის საფეხურის მიხედვით.

კერძოდ, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების უფრო დიდი წილი მიიჩნევს, რომ შეფასება ობიექტურად ხდება, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზოგადად, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ბაკალავრიატთან შედარებით მცირე რაოდენობის სტუდენტი სწავლობს.

ნახატი 12: შეფასებისადმი დამოკიდებულებებში განსხვავებები საფეხურის მიხედვით „ვეთანხმები“ პროცენტი



რაც შეეხება განსხვავებებს უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით, შეფასების ყველა ასპექტით (ობიექტურობა, უკუკავშირი, გამჭვირვალობა) უფრო კმაყოფილები არიან კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები. ამ შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, შეფასების პროცესით კმაყოფილებაზე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ფარდობა მოქმედებს, რაც კერძო უნივერსიტეტებში უფრო დაბალია.

ნახატი 13: სტუდენტების დამოკიდებულება შეფასებისადმი უნივერსიტეტის სტატუსის მიხედვით „ვეთანხმები“ პროცენტი



სასწავლო გარემო და ადმინისტრაციის მხარდაჭრა

გამოკითხული სტუდენტების 60% ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ უნივერსიტეტს აქვს კარგი სასწავლო აღჭურვილობა და სასწავლო სივრცე, თუმცა ამ მხრივ გამოიკვეთა ძალიან თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი განსხვავებები უნივერსიტე–ტის სტატუსის მიხედვით. კერძო უნივერსიტეტში ამ დებულებას ეთანხმება სტუდენტების 86%, ხოლო საჯარო უნივერსიტეტებში - 53%.

ასევე, კვლევის შედეგებიდან ჩანს განსხვავებები უნივერსიტეტის მდებარეობის მიხედვითაც. თბილისში სასწავლო სივრცითა და აღჭურვილობით კმაყოფილ სტუდენტთა წილი უფრო დიდია (66%) რეგიონის უნივერსიტეტებთან შედარებით (36%-42%).

თვისებრივ კომპონენტში უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ინფრასრუქტურის თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენს: ნელი ინტერნეტი, სველი წერტილების გაუმართაობა, საერთო სივრცის არარსებობა სტუდენტთა თავშეყრისათვის, გაუმართავი ტექნიკა. ასევე, უნივერსიტეტების უმეტესობაში არ არის ქსეროასლის გადასაღები და ამოსაბეჭდი ტექნიკა, ბიბლიოთეკები მცირე ზომისაა და მოუხერხებელია სამეცადინოდ.

დისკუსიისას სტუდენტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ, ზოგადად, საჯარო უნივერსიტეტების უმეტესობაში არის რესურსების (აკადემიური პერსონალი, ტექნიკა, ფართი) სტუდენტთა რაოდენობასთან შეუსაბამობის პრობლემა, რაც ხელს უშლის ხარისხიან განათლებას. სტუდენტების აზრით, არსებული რესურსები სრულიად არასაკმარისია სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში.

„თუ უნივერსიტეტს ამის შესაძლებლობა არ აქვს არ უნდა მიიღოს ამდენი სტუდენტი. დიდი რაოდენობაა იმაზე მეტი, ვიდრე შეიძლება რომ იყოს“. “ზოგი უნივერსიტეტი ამ ყველაფერს ბიზნესის კუთხით უყურებს და

მარტო მოგებაზეა ორიენტირებული და არა ხარისხზე. ხოდა თუ შემცირდება მისაღებ სტუდენტთა რიცხვი ვფიქრობ ხარისხი გაიზრდება".

სტუდენტები თვლიან, რომ ზოგიერთი სპეციალობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიების არსებობა. ზოგადად, ლაბორატორიების ნაკლებობა თითქმის ყველა უნივერსიტეტის პრობლემაა, რაც, სტუდენტების აზრით, მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის კვლევის უნარების განვითარების პროცესში.

ნახატი 13: ადმინისტრაციის მომსახურებითა და ინფრასტუქტურით კმაყოფილება ("ვეთანხმები" და "სრულიად ვეთანხმები" პროცენტებში)



თვისებრივ კომპონენტში სტუდენტები, აგრეთვე, აღნიშნავენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სპორტის როლის გაზრდის მნიშვნელოვნებას და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებას. საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში აქტიურად უნდა მოხდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა. ზოგადად, სპორტის მიმართულება საქართველოს უნივერსიტეტებში მნიშვნელოვან გაძლიერებას საჭიროებს.

ნახატი 14: ადმინისტრაციის მომსახურებითა და ინფრასტუქტურით კმაყოფილება უნივერსიტეტის სტატუსის მიხედვით მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტებში ("ვეთანხმები"პროცენტი)



ადმინისტრაციის მუშაობით სტუდენტთა კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი ათქულიან სკალაზე 5.8 ქულას შეადგენს. კერძო უნივერსიტეტებში მაჩვენებელი უფრო მაღალია (6.86), ვიდრე საჯარო უნივერსიტეტებში (5.49). ადმინისტრაციის მუშაობით კმაყოფილებაში ფიქსირდება განსხვავებები უნივერსიტეტის მდებარეობის მიხედვითაც. ადმინისტრაციით კმაყოფილების შედარებისას მდებარეობის მიხედვით შევეცადეთ გამოგვერიცხა უნივერსიტეტის სტატუსის (კერძო/საჯარო) ეფექტი, რადგან რეგიონში კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა წილი უფრო დაბალია. ამისათვის ერთმანეთს შევადარეთ მხოლოდ საჯარო უნივერსიტეტები თბილისსა

და რეგიონში. შედეგები აჩვენებს, რომ თბილისის საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტები ოდნავ უფრო კმაყოფილები არიან ადმინისტრაციის მუშაობით (5.61), ვიდრე რეგიონის საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტები (5.13). ეს განსხვავება მცირეა, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

სტუდენტებთან დისკუსიის პროცესში ირკვევა, რომ ბევრ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით დიდ უნივერსიტეტებში, პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელების არაეფექტური ხერხები. სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ზოგიერთ შემთხვევაში არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი და შერჩევითად ვრცელდება, ასევე დისკუსიაში ჩართული სტუდენტების ნაწილის აზრით, უფრო ეფექტურად უნდა მუშაობდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და ინფორმაციის განახლება ვებ-გვერდზე უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს.

> "ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს მიუკერძოებლად ყველა სტუდენტზე, ყველა სიახლის დროული გასაჯაროებაა მნიშვნელოვანი ვებ-გვერდის საშუალებით".

სტუდენტების აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის გაფართოების, სტუდენტების რაოდენობის ზრდის ფონზე ასევე დროულად გადაიხედოს ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის სტრატეგიები. სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის ინფორმაციის გაცვლისა და ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტურმენტად სტუდენტები საუნივერსიტეტო გამოკითხვებს მიიჩნევენ, რომლებიც, მათი აზრით, დღეისათვის არაეფექტურად გამოიყენება. კერძოდ, ასეთი გამოკითხვები ტარდება, თუმცა შედეგების გათვალისწინება ცალკეულ უნივერსიტეტებში არ ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

"უნივერსიტეტი რომ გაიზარდა, ბიუროკრატიული საკითხები უფრო გართულდა. თუნდაც უნივერსიტეტთან წარმომადგენლობით ურთიერთობაში. რაღაცეები გაუარესდა. ლექტორების შესახებ იგზავნებოდა კითხვარები, რაც გვეგონა რომ რაიმეს შეცვლიდა, მაგრამ არანაირი ცვლილება არ ხდება. ჩემთვის ადმინისტრაციის მხარდაჭერა ნიშნავს, რომ ჩვენს პრეტენზიებს ითვალისწინებენ. ანუ თუ რამე აზრს გამოთქვამ, ამას უკუკავშირი მოყვება".

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელშიც სტუდენტები ადმინისტრაციისაგან მეტ მხარდაჭერას ელიან, კურსების შერჩევის პროცესში დახმარებაა. ამ ტიპის დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწყები სტუდენტებისათვის, რადგან არასწორად გაკეთებული არჩევანი პრობლემას ქმნის სწავლის პროცესში.

> "პირველმა და მეორე კურსელებმა არ იციან, რა რას შეუხამონ და რა რას შეუთანხმონ. ეს ქმნის პრობლემებს და დამატებით სემესტრებში გადადის აქიდან გამომდინარე".

თვისებრივ კომპონენტში გამოთქმულ ამ მოსაზრებას რაოდენობრივი კომპონენტიც ადასტურებს. კერძოდ, გამოკითხული სტუდენტების 66% თვლის, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს კურსების არჩევისას დახმარების სერვისი, თუმცა მხოლოდ 40% აღნიშნავს, რომ მიიღო დახმარება ადმინისტრაციისგან კურსების შერჩევის პროცესში. სურათი აქაც მკვეთრად განსხვავდება უნივერსიტეტის სტატუსის მიხედვით. თბილისის კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების შედარებიდან ჩანს, რომ კერძო უნივერსიტეტებში მაჩვენებელი გაცილებით უკეთესია - სტუდენტების 51% აღნიშნავს, რომ მიიღო დახმარება კურსების არჩევის პროცესში, მაშინ როცა თბილისის საჯარო უნივერსიტეტებში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 35%-ს შეადგენს. რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, არის განსხვავებები უნივერსიტეტის მდებარეობის მიხედვითაც.

თბილისსა და ბათუმში ამ დებულებას მეტი სტუდენტი ეთანხმება, ვიდრე სხვა ლოკაციებში.

გამოკითხული სტუდენტები, ასევე, ნაკლებად არიან კმაყოფილნი კარიერული განვითარების, სამსახურის ძიების პროცესში ადმინისტრაციის დახმარებით. გამოკითხულ–თა 60% აღნიშნავს, რომ მათ უნივერსიტეტში არის კარიერული სერვისი, თუმცა მხოლოდ 20%- მა მიიღო დახმარება ადმინისტრაციისგან სამსახურის ძიებისას. ამ მხრივაც მკაფიოდ ჩანს განსხვავებები უნივერსიტეტის სტატუსის მიხედვით. თბილისის კერძო უნივერსიტეტებში დახმარება ამ მხრივ მიიღო გამოკითხულთა 38%-მა, ხოლო თბილისის საჯარო უნივერსიტეტებში - მხოლოდ 14%-მა. ნაკლებად თვალსაჩინო, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებებია ამ მხრივ უნივერსიტეტის მდებარეობის მიხედვითაც.

თვისებრივ კომპონენტში სტუდენტებმა, ასევე, ისაუბრეს დასაქმებული სტუდენტების მხარდაჭერის პოლიტიკის არარსებობაზე ცალკეულ უნივერსიტეტში. კერძოდ, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ცხრილის მოქნილობის აუცილებლობას, რის საშუალებასაც ზოგიერთი უნივერსიტეტი არ იძლევა.

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

თვისებრივ კომპონენტში სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა არა მხოლოდ ინდივიდუალური კომპეტენციების განვითარებისათვის არის აუცილებელი, არამედ, უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარებისთისაც, რადგან სხვა უნივერსიტეტებში სწავლა სტუდენტს უფრო ფართო და ობიიექტურ წარმოდგენას უქმნის სასწავლო პროცესის ხარისხის შესახებ, სტუდენტს ექმნება „შედარების შესაძლებლობა“ და უფრო მომთხოვნი ხდება საკუთარი უნივერსიტეტის მიმართ.

საერთო ჯამში, გაცვლით პროგრამებში სტუდენტების 6 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. განაცხადი შეიტანა, მაგრამ პროგრამაში მონაწილეობა არ მიუღია სტუდენტების 14 პროცენტს. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა განსხვავდება უნივერსიტეტეის მდებარეობის მიხედვით: რეგიონალური უნივერსიტეტებში, თბილისთან შედარებით, უფრო მაღალია როგორც მონაწილეობის მცდელობის, ასევე, მონაწილე სტუდენტების წილი. როგორც ქვემოთ მოცემულ ნახატზე ჩანს (ნახატი xx), თბილისის უნივერსიტეტებიდან სტუდენტების მხოლოდ 18 პროცენტმა შეიტანა განაცხადი გაცვლით პროგრამებზე მაშინ, როცა ასეთი სტუდენტების წილი თელავსა და ბათუმში 30 პროცენტზე მეტს შეადგენს.

გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების კმაყოფილება მაღალია. ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილი 83 პროცენტია, მეტ-ნაკლებად კმაყოფილი - 9 პროცენტი, ხოლო უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილო - 8 პროცენტია.

ნახატი 15: გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა უნივერსიტეტის მდეობარების და სტატუსის (კერძო/საჯარო) მიხედვით (%).